სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-46

24.03.2025

ბრძანება

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე „პარასპორტის რეაბილიტაციის" მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, 35-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის, „სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების" მე-14 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, 25-ე მუხლის და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის" მე-3 მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 24 მარტის 01-05/182 სამსახურებრივი ბარათისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 24 მარტის 10-05/183 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 24 მარტს გამოცხადდეს კონკურსი ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (1 საშტატო ერთეული) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე „პარასპორტის რეაბილიტაციის" მიმართულებით.

2. კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსანტების მიერ განაცხადის წარდგენა - 2025 წლის 24 აპრილიდან 2025 წლის 8 მაისის ჩათვლით;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის გადარჩევა/განხილვა - 2025 წლის 13 მაისიდან 2025 წლის 20 მაისის ჩათვლით;

გ) შერჩეული კანდიდატის შესახებ გადაწყვეტილების წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისათვის 2025 წლის 23 მაისს;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება - 2025 წლის 2 ივნისს.

2. კონკურში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV
- დიპლომის ასლი;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია;
- ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 3 წელი);
- საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში. ბეჭდურ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საკონკურსო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში - ელ.ვერსია;

3. კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე (www sportuni.edu.ge).
4. საკონკრსო კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. N55. ტელ: 032 256-05-01
5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.sportuni.edu.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, პროფესორი ტრისტან გულბიანი